

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირი №184 მდებარე საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო პროექტი.

ძეგლის ძირითადი შესწავლა-შეფასება მისი რეაბილიტაციის მომზადება ძირითადად პროექტირების მეორე ეტაპზე განხორციელდება სრულყოფილი რესტავრაციის პროექტის სახით.

პროექტირების პირველ ეტაპზე ძეგლის მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, მომავალი სამუშაოების განსაზღვრა მოახდინა ჯგუფმა როგორც შ.პ.ს „არკო04“-ის ძირითადმა, ასევე მოწვეულმა სპეციალისტებმა: ხელოვნებათმცოდნე: – გია ჭანიშვილი
არქიტექტორები: – იოსებ ტვილდიანი, დავით გუნცაძე, ნუგზარ ჩხეტიანი, რუსუდან დოლიძე, ილია ესიტაშვილი, გიორგი ტვილდიანი.
კონსტრუქტორი – ზურაბ ოქროშიძე
გეოლოგი – დავით ბობოხიძე
არქეოლოგი – გივი ღამბაშიძე
ასევე მომიჯნავე დარგის სპეციალისტები:
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი – თემურ ზარქუა
წყალმომარაგება და სან. არიდება,
საინჟინრო და ელექტრო ქსელები – ვაჟა ძაგანია.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ძეგლი ქალაქის ცენტრში გამწვანებულ „მუშტაედი“- ს ბაღის ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ეს გარემოება, ასევე მასიური თავშეყრის ადგილების სიახლოვე სტადიონი „დინამო“, მუსიკალური კომედიის თეატრი – განაპირობებს ძეგლის საზოგადოებრივი ფუნქციით დატვირთვის, ქალაქისათვის კომერციულად მომგებიან ობიექტად ქცევის შესაძლებლობას. შენობის გამონთავისუფლება იქ მცხოვრებთა დაკმაყოფილება იმავე ტერიტორიაზე (უსახური უკანა ნაწილის ადგილას ნაგებობის აგებით გაზრდილი სართულიანობით) ან სხვა ადგილას ქალაქი მიიღებდა ღირსშესანიშნავ საზოგადოებრივი ფუნქციის ნაგებობას. ყველივეს გათვალისწინებით ძეგლი უპირველესად გადასარჩენია, ჩასატარებელია სარესტავრაციო სამუშაოები.

სამუშაოების ჩამონათვალი დაზუსტდება ფუნდამენტების, (გრუნტის, საძირკველის), მზიდი კედლების, სართულშუა გადახურვების, სახურავების მზიდი კონსტრუქციების დეტალური შესწავლის შემდგომ. რეკომენდაციები მოიცავს ნაწილობრივ გამაგრებას, ბევრ შემთხვევაში სრულ შეცვლას (გარე ხის კონსტრუქციები, კიბეები).

შიდა გეგმარებითი ცვლილებები რომელიც ასევე კონსტრუქციულ და სხვა სახის ჩარევებს მოითხოვს თბილისის მერიის, მისი განვითარების ფონდის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული. თუ რჩება საცხოვრებელი ფუნქცია, უნდა ვიზრუნოთ თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად, ისე, რომ ძეგლის გარეგნული სახე არ დაზიანდეს, მოიხსნას მინაშენები, გაკეთდეს ეზოს კეთილმოწყობა, გათვალისწინებული იქნას ტერიტორიაზე მიწისქვეშა პარკინგ გამწვანებული გადახურვით.

პატივისცემით შ.პ.ს. „არკო04“-ის

დირექტორი

ი. ტვილდიანი

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	შ.პ.ს. „არკო04“
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	ი. ტვილდიანი
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	დ. აღმაშენებლის #117
საიდენტიფიკაციო კოდი:	205243128
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	ტ: 2964657 მ:599 37 57
21	
ელექტრონული მისამართი:	arko04@mail.ru
ბანკის დასახელება:	„ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი:	SWIFT კოდი: LBRTGE22
საბანკო ანგარიშის ნომერი:	GE66LB0610000636081253

საპროექტო სამუშაოების ღირებულება

გადასახადების ჩათვლით შეადგენს

32 000 ლარს.